



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის იურიდიული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

11

11

2021 წ.

№ 210

ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის შექმნის დაფინანსების კონკურსზე
შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის
თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ 2000 წლის 5
დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ - საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების
თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006
წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული
პირის - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის
დებულების“ მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის
დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების
მომზადების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014
წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად

ვძრძნავ:

1. 2021 წლის 11 ნოემბერს შეიქმნას სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის
შექმნის დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი
საექსპერტო კომისია 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით:

1. გიორგი თავართქილაძე - რეჟისორი;
2. ანა ჭყონია-კინომცოდნე ;
3. კახაბერ თოლორდავა - ფილოლოგი;
4. ირაკლი ფანიაშვილი - რეჟისორი;
5. გივი ოდიშარია - რეჟისორი/სცენარისტი;

2. გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი
ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და
ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე
წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-
კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის
ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ-
თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ.
აღმაშენებლის ხევანი მე-12 ქმ. №6).

დირექტორი

ქ. თბილისი

გაგა ჩხეიძე